# უნივერსიტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი

№6 (13) 2012


## თსუ მეცნიერთა კვლევა – წარმოებაში გამოყენების პერსპექტივით

***თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მაკრომოლეკულების ქიმიის მიმართულებაზე არაერთ კვლევაზე მუშაობენ. მიმართულების სრული პროფესორის ომარ მუკბანიანის ხელმძღვანელობით თსუ მეცნიერთა ჯგუფი ხის კომპოზიციების მისაღებად კვლევასაც აწარმოებს. შედეგებით უკვე დაინტერესდა ბელგიური კომპანია "სპანო ჯგუფი", რომელიც ევროპაში ხის პროდუქციის 30 პროცენტის მწარმოებელია.***

დღეს ხის პროდუქციის დიდი ნაწილი დამზადებულია ხის ბურბუშელოვანი კომპოზიციური მასალით, ე.წ. დსპ-თი, რომელიც შემაკავშირებლად შეიცავს ფენოლფორმალდეჰიდურ ფისებს. როგორც ექსპერტები ამტკიცებენ, დროთა განმავლობაში ამ კომპოზიციური მასალიდან გამოიყოფა ფორმალდეჰიდი, რაც ჯანმრთელობისთვის ძალიან საზიანოა. ის კარცეროგენული ზემოქმედებით ხასიათდება და მოქმედებს ადამიანის ლორწოვან გარსზე. ფენოლფორმალდეჰიდური შემკვრელის ხანგრძლივი ზემოქმედება იწვევს ეგზემას და დერმატიტს. ეს თემა იმდენად აქტუალურია მსოფლიოში, რომ აშშ-ის მთავრობამ მიიღო სენატის დადგენილება, გადაიხედოს, ხის ბურბუშელოვან ფილაში, საშუალო და მაღალი სიმკვრივის ხის ბოჭკოვან ფილებში (მდფ, ჰდფ) ფორმალდეჰიდის შემცველობა და ამოღებულ იქნას ის ხმარებიდან.

თსუ ქიმიკოსთა გამოგონების იდეა მდგომარეობას იმაში, რომ

გაგრძელება მე-3 გვ.

## თსუ სტამბის ახალი სიცოცხლე



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბა 2012 წლიდან საერთაშორისო, უმაღლესი სტანდარტით დაიწყებს მუშაობას. გაზაფხულზე სტამბა 500 000 ლარის ღირებულების თანამედროვე ტექნოლოგიებით განახლდა. სატესტო ანაბეჭდები უკვე დასტამბულია. სპეციალისტების თქმით, ნიმუშები ფერადი ბეჭდვის მაღალ ხარისხს შეესაბამება. ტესტირების რეჟიმი გრძელდება და სულ მალე უნივერსიტეტის სტამბა როგორც უნივერსიტეტელების, ისე - გარე მომხმარებლის ყველაზე პრეტენზიული მოთხოვნების დაკმაყოფილებას შეძლებს.

თსუ სტამბის ხელმძღვანელის თენგიზ სირაძის განცხადებით, სტამბამ შეძლო არა მხოლოდ მაღალი ხარისხის ტექნიკის შეძენა. რადგან ამ საქმეში ტექნიკაზე არანაკლებ პროფესიონალიზმი და გამოცდილება ფასობს, უნივერსიტეტმა მაღალი კვალიფიკაციის რამდენიმე ახალი სპეციალისტიც მოიწვია - თამაზ აბაშიძე და დავით ჯავახიშვილი სტამბის თანამშრომელთა გუნდთან ერთად მის ახალ ისტორიას შექმნიან.

გაგრძელება მე-2 გვ.

## ქართველი გეოგრაფები ნიუ-იორკის საერთაშორისო კონფერენციაზე

23-28 თებერვალს ნიუ-იორკში გამართულ აშშ-ის გეოგრაფთა ასოციაციის კონფერენციაში წელს საქართველოდან მონაწილეობა თსუ-ის ოთხმა პროფესორმა მიიღო. მეცნიერთა შეფასებით, გეოგრაფთა ეს ყველაზე დიდი ფორუმი, საუკეთესო ტრიბუნაა კვლევის საერთაშორისო დონეზე ფართო აუდიტორიისთვის წარსადგენად.

საზოგადოებრივი გოგრაფიის მიმართულების პროფესორები იოსებ სალუქვაძე, თამარ დოლბაია, რევაზ გაჩეჩილაძე, გოგი გოგსაძე ნიუ-იორკში გამართულ შეხვედრაზე მოხსენებით სხვადასხვა თემაზე წარსდგნენ. ცნობისათვის, საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება თსუ-ის გარდა სხვა უმაღლეს სასწავლებლებში არ არსებობს.

ნიუ-იორკში იოსებ სალუქვაძის მიერ წარდგენილი მოხსენება - "სივრცითი სეგრეგაცია და სოციალური თანასწორობა ტრანზიციულ ქალაქებში, თბილისის მაგალითზე", რამდენიმე კვლევის შედეგად მიღებულ შედეგებს ეფუძნება. იოსებ სალუქვაძის განმარტებით, "1991-2011 წლების მაგალითზე ხდებოდა იმის შესწავლა, თუ როგორ იცვლებოდა თბილისში მოსახლეობის სხვადასხვა სეგმენტში იმ დროისათვის ყველაზე აქტუალური პრობლემების შეფასების სკალა, ტრანზაციის (გარდამავალ) პერიოდში".

კვლევები, რომელთა საფუძველზეც იოსებ სალუქვაძე კონფერენციაზე მოხსენებით წარსდგა, თსუ საზოგადოებრივი გეოგრაფიის განყოფილებისა და სოციალურ მეცნიერებათა ცენ-

გაგრძელება მე-2 გვ.

## ახალი საგამოფენო სივრცე თსუ-ში



15 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუზეუმის საგამოფენო დარბაზი გაიხსნა. გალერეაში მუზეუმის ფონდებში დაცული სახვითი ხელოვნების ნიმუშები გამოიფინა; კერძოდ, XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის ქართველი და უცხოელი მხატვრების ტილოები. აგრეთვე გამოფენილი იყო თანამედროვე მხატვრებისა და სტუდენტების ნამუშევრები.

გამოფენა თემატურად, ჟანრობრივად, მასალისა და ტექნიკის (ზეთი, აკვარელი, სანგინი და სხვა) თვალსაზრისითაც მრავალფეროვანია. ექსპოზიციაში წარმოდგენილია ვალერიან სიდამონ-ერისთავის, იოსებ სუმბაძის, გიგო გაბაშვილის, ჯიბსონ ხუნდაძის, ედმონდ კალანდაძის, ირაკლი ფარჯიანის, სევერიან მაისაშვილისა და სხვათა ტილოები. ამავე დროს, გამოიფინა გოგი და ირაკლი ოჩიაურების, ლევან ცუცქირიძის, თემო ყუბანეიშვილის და კორნელი სანაძის მიერ შესრულებული ილუსტრაციები ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებზე.

გაგრძელება მე-2 გვ.

### ცნობილი ქართველი ტოქსიკოლოგი – თსუ სტუდენტების სამსახურში

საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე სტაჟიანი და ცნობილი ტოქსიკოლოგი და თერაპევტი გივი კაციტაძე უკვე წლებია თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტში მოღვაწეობს.

გვ. 2

### თსუ სტუდენტთა წარმატება „დიპლომატიურ თამაშებში“



გვ. 4

### გალაკტიონი – ინგლისურ ენაზე

ბრიტანეთში გალაკტიონის ინგლისურენოვანი კრებულის პრეზენტაცია გაიმართა. გალაკტიონის 50 ლექსის უნიკალური თარგმანი თსუ თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების ინსტიტუტის დირექტორს, სრულ პროფესორს ინესა მერაბიშვილს ეკუთვნის.

გვ. 3

### სტუდენტური კონკურსი – მისია 2012



გვ. 4

### სტუდენტური დღეები



გვ. 4

# ქართველი გეოგრაფები ნიუ-იორკის საერთაშორისო კონფერენციაზე

პირველი გვერდიდან

ტრის პროფესორთა და სტუდენტთა ძალებით განხორციელდა. როგორც იოსებ სალუქვაძე აცხადებს: “გვიანი 80-იანი წლებისათვის მთავარ პრობლემებად მოსახლეობის მიერ სახელდებოდა: სამომხმარებლო პროდუქტის და სერვისის უზრუნველყოფა, საყოფაცხოვრებო პრობლემები, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, კრიმინალი (კორუფცია, ნარკომანია და ა.შ.), და ეკოლოგია (განსაკუთრებით წყლის და ჰაერის დაბინძურება). 1990 წლისათვის: მუნიციპალური მომსახურება, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, პირადი უსაფრთხოება, უმუშევრობა, კრიმინალი. 2010 წლისთვის კი თანამიმდევრობა ასეთია: უმუშევრობა, ეკონომიკური გაჭირვება, სიღატაკე, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, სოციალური უსაფრთხოება. უმუშევრობა, ყველა რესპოდენტის მიერ უმთავრეს პრობლემად სახელდება”. დაახლოებით იგივე ვითარებაა ფინანსურ გაჭირვებასთან დაკავშირებით.

ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის საკითხი პრობლემატურად ძირითადად მაღალი და საშუალო ფენის წარმოამდგენლებს მიაჩნიათ. “ქალაქური კულტურა” უფრო მეტად შეძლებულთა ფენას აწუხებდა.

თსუ მკვლევართა შეფასებით, მწვავე პრობლემების თანამიმდევრობის სწრაფი ცვლა სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური ცვლილების მაჩვენებელია. სეგრეგაცია არსებობს, თუმცა შედრებით დაბალი ხარისხით. არ არსებობს მოსახლეობაში სუფთა ტერიტორიული პრინციპით სოციალური სეგრეგაციის (გამოყოფის) მაგალითი. სეგრეგაცია არ შეინიშნება ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებში, იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებებში და აშ. ცნობისათვის, იმ მასალებში, რომელთა საფუძველზეც გაკეთდა მოხსენება, ჩართულია ასევე იძულებით გადანაცვლებულ პირთა გარემოში ინტეგრაციის შესახებ კვლევა, რომელიც გასულ წელს შვეიცარიელების მიერ დაფინანსადა.

პროფესორ თამარ დოლბაიას მოხსენება “საქართველოს პორტების სატრანზიტო ფუნქცია, როგორც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ფაქტორი,” მის მიერ განხორციელებულ კვლევის შედეგებს ეყრდნობა. მეცნიერის განცხადებით, კვლევის მიზანია წარმოაჩინოს ქართული პორტების სატრანზიტო ფუნქცია, როგორც ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი დამოუკიდებელი საქართველოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში.

მეცნიერს სტატიაში განხილული აქვს, თუ რა როლს ასრულებენ ქართული პორტები საქართველოს ეკონომიკაში, როგორც მსოფლიო ბაზარზე გასვლისა და რეგიონული თანამშრომლობის, ტვირთნაკადების მოცულობათა გაზრდისა და ტრანსევროპულ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირების საშუალება. გამოიკვეთა, რომ საქართველოს ტრანსპორტის ყველა სახეობათა შორის, რომლებიც ჩართულია სატრანზიტო ოპერაციებში, უპირობო ლიდერია საზღვაო ტრანსპორტი. ქართულ პორტებზე გადის ევროპა-აზიის სატრანსპორტო დერეფანი “TRACECA”, რომელიც რუსეთზე გამავალი საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნების ალტერნატივას წარმოადგენს და უზრუნველყოფს ცენტრალური აზიისა და აზერნაიჯანის ტვირთების ნაწილის გატანას ევროპულ ბაზარზე. პორტებში ტრანზიტული ოპერაციების წილი საშუალოდ 55-85 პროცენტს შორის მერყეობს.

კვლევაში აქცენტები გაკეთებულია ასევე ბაქო-თბილისი–ახალქალაქი-ყარსის რკინიგზის პროექტზე და მის პერსპექტივებზე. მართალია, ამჟამად უკრაინისა და საქართველოს პორტები „TRACECA“-ს მნიშვნელოვანი ნაწილია სტაბილურად მოქმედი საბორნე მიმოსვლის გამო ილიჩევსკი – ფოთი/ბათუმის მარშრუტით, მაგრამ ჩინეთიდან ძლიერდება სახმელეთო ტვირთნაკადები ერთი მხრივ რუსეთზე და დსთ ქვეყნების გავლით ევროპაში, და მეორე მხრივ სწორედ ამ ახალი სარკინიგზო მაგისტრალის ამოქმედებით თურქეთზე გავლით, რაც აუცილებლად შეამცირებს შავი ზღვის აუზის ქართულ პორტებზე გამავალი ტვირთების წილს და სავარაუდოა რომ, ფოთს მოუწევს ტვირთების რესტრუქტურირება, რადგანაც ძლიერაა დამოკიდებული აზერბაიჯანიდან, ცენტრალური აზიიდან და ჩინეთიდან მომავალ იმ საკონტეინერო ტვირთზე, რომლის უდიდესი ნაწილი სავარაუდოდ რკინიგზაზე გადავა.

ბრძოლა ტვირთვისთვის მუდმივი პროცესია და საქართველომ უნდა ეძებოს ახალი ტვირთნაკადები. ირანს დიდი ხანია უნდა ქართული პორტების გამოყენება სატრანზიტოდ. მისი საგარეო ტვირთის 35% ევროპაში თურქეთის გავლით გადის. მიუხედავად ირანის მხრიდან საქართველოს პორტებისადმი დიდი ინტერესისა და სურვილისა, ავტოგადაზიდვების მარშრუტი თურქეთიდან საქართველო-აზერბაიჯანზე გადაიტანოს, მაღალი და შეუთანხმებელი ტარიფების გამო ვერ მოხერხდა.

ტვირთის ერთერთი ახალი სახეობა შეიძლება იყოს NATO-ს ტვირთი ავღანეთისთვის. NATO-სთვის საქართველოს სატრანზიტო დერეფანი შეიძლება გახდეს ავღანეთში ტვირთის გადატანის საშუალება. მარშრუტი: ტვირთი გემებით - შავი ზღვა – ქართული პორტები – ტვირთი რკინიგზით აზერბაიჯანში – კასპიის ზღვა – ყაზახეთი – უზბეკეთში საავტომობილო ტრანსპორტით – ავღანეთი. თამარ დოლბაიას მიერ კონფერენციაზე გაკეთებული ეს დასკვნა ყველაზე უფრო საინტერესო აღმოჩნდა უცხოელი კოლეგებისთვის.

რევაზ გაჩეჩილაძე ახლო აღმოსავლეთის პრობლემატიკის კვლევას მე 1960-იანი წლებიდან ეწევა. ის მოხსენებაში, ”ახლო აღმოსავლეთი “არაბული გაზაფხულის” შემდეგ: პოლიტიკურ-გეოგრაფიული თვალსაზრისი”. საკითხი პოლიტიკურ-გეოგრაფიული კუთხით იყო განხილული. ნაჩვენები იყო, თუ რატომ და როგორ მიმდინარეობს განსხვავებულად ერთი შეხედვით მსგავსი პოლიტიკური მოვლენები რეგიონის სხვადასხვა ქვეყანაში. მსმენელებმა ასეთი მიდგომა საინტერესო სიახლედ აღიქვეს.

როგორც რევაზ გაჩეჩილაძე ამბობს: “ხანგრძლივვადიანი დაკვირვებისა და კვლევის გარეშე დასკვნების გამოტანა რომელიმე მიმდინარე მოვლენის შესახებ ძნელია. უშუალოდ საკონფერენციო თემა კი საერთო სამეცნიერო ინტერესების სფეროს წარმოადგენს”.

ახლო აღმოსავლეთის უნივერსიტეტელი მეცნიერის მიერ გაკეთებულ მოხსენებაში წარმოდგენილი იყო ასევე ზოგიერთი პროგნოზი რეგიონში პოლიტიკური პროცესების განვითარების შესახებ. განხილული იყო ის მოსალოდნელი ძვრები, რომლებიც შეიძლება მოხდეს და ნაწილობრივ უკვე ხდება კიდეც ახლო აღმოსავლეთის რამდენიმე ქვეყნის პოლიტიკურ წიაღში. როგორც თავად მეცნიერი ამბობს, “მსმენელებისათვის აგრეთვე საინტერესო აღმოჩნდა ახლოაღმოსავლური პოლიტიკის ჩვენეული ხედვა. კრიტიკა, თუნდაც ერაყში ინტერვენციის შესახებ, რომელმაც ვერ მიაღწია დასახულ მიზანს და, პირიქით, გააძლიერა ანტიდასავლური ძალები. ამგვარი განცხადების საკმაოდ კრიტიკული ტონის მიუხედავად, კეთილმოსურნე კრიტიკას პრაქტიკულად ყველა დისკუსანტი (ასეთი კი საკმაოდ ბევრი იყო) დაეთანხმა”.

# თსუ სტამბის ახალი სიცოცხლე

პირველი გვერდიდან





ისტორია კი თსუ უნივერსიტეტის სტამბას თითქმის საუკუნოვანი აქვს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებისთანავე (1918 წ.), ივანე ჯავახიშვილის წინადადებით შეიქმნა საგამომცემლო კომისია, რომელსაც სხვადასხვა დროს თავმჯდომარეობდნენ ცნობილი მეცნიერები – აკაკი შანიძე, კორნელი კეკელიძე, გიორგი ახვლედიანი, სიმონ ყაუხჩიშვილი, ანდრია რაზმაძე და სხვები. პირველი წიგნი უნივერსიტეტის გრიფით უკვე 1919 წელს გამოვიდა. ეს იყო ლევან ყანჩაველის დამხმარე სახელმძღვანელო ბოტანიკაში. 1920 წლიდან დაიწყო თბილისის უნივერსიტეტის "შრომების" გამოცემა.1923 წელს კი უკვე ოფიციალურად დაარსდა უნივერსიტეტის სტამბა.

მოდერნიზაციისა და ისტორიული გამოცდილების კვალი დღევანდელ განახლებულ სტამბაშიც ჩანს. აქ თანამედროვე ტექნიკის შესყიდვის პარალელურად, უცხოელი ექსპერტების დახმარებით, ძველი ტექნიკაც შეაკეთეს. ამიტომ ახლა XXI საუკუნის აპარატურის გვერდით გამოცდილ და ახალსიცოცხლეშთაბერილ ძველ საკინძ აპარატებს თუ სხვა დანადგარებსაც ნახავთ, რომლებიც სრულფასოვანი ციკლის უზრუნველყოფას ემსახურებიან.

დღეს განახლებულ თსუ სტამბას შეუძლია ნებისმიერი სირთულისა და ხარისხის შავ-თეთრი თუ ფერადი წიგნის, ჟურნალის, პლაკატის ბეჭდვა, ყდის და აკინძვის სხვადასხვა მოდიფიკაციით. მსგავს პროდუქციაზე ყოველთვის ძალიან დიდი იყო შიდასაუნივერსიტეტო მოთხოვნა, რომელსაც სტამბა პირველ რიგში დააკმაყოფილებს. ამას გარდა, სტამბა არაუნივერსიტეტელებსაც მოემსახურება და საქართველოში ამ მიმართულებით არსებული კონკურენციის დაძლევას ფასისა და ხარისხის საუკეთესო შესატყვისობით შეეცდება.

უახლოეს პერიოდში უნივერსიტეტი ა2 ფორმატის ლიზოგრაფის შესყიდვასაც გეგმავს, რაც აქ უკვე არა მხოლოდ წიგნისა და ჟურნალის, არამედ ა3 ფორმატის ფერადი გაზეთის ბეჭდვასაც გახდის შესაძლებელს.

ახალი ტექნოლოგიებით დასტამბული პირველი გამოცემების შესახებ „უნივერსიტეტი“ მკითხველებს დამატებით მიაწვდის ინფორმაციას.

# ახალი საგამოფენო სივრცე თსუ-ში

პირველი გვერდიდან

„ბევრი ვიფიქრეთ თემატურად რა ექსპოზიცია გამოგვეფინა, ეპოქალური თვალსაზრისით დაგვეყო თუ თემატურად, მაგრამ ბოლოს გადავწყვიტეთ, რომ სრული სახით წარმოგვედგინდა უნივერსიტეტის საგანძური. ეს კოლექცია წლების განმავლობაში გროვდებოდა თსუ-ში სხვადასხვა სახით. აქ ძირითადად ნაჩუქარი კოლექციაა წარმოდგენილი.“ – განაცხადა თსუ მუზეუმის დირექტორმა მაია გურაბანიძემ.



საგამოფენო დარბაზი მუზეუმის დღესთან დაკავშირებით გაიხსნა. აქ წარმოდგენილი ექსპოზიცია დაახლოებით ერთი თვე გასტანს. შემდეგ უკვე ეს დარბაზი ღია საგამოფენო სივრცე იქნება როგორც სტუდენტებისთვის, ასევე მხატვრებისთვის. აქ იქნება სულ ცვალებადი ექსპოზიციები.



თსუ რექტორის ალექსანდრე კვიტაშვილის განცხადებით, ეს იქნება სივრცე სტუდენტებისთვის, სადაც გამოიფინება როგორც ფერწერული ტილოები, ასევე სხვადასხვა საინტერესო ნივთები.

„ეს არის წინაპირობა უნივერსიტეტის სამუზეუმო სივრცის ჩამოყალიბებისა, რომელიც მომავალში გაიხსნება. მოხარული ვარ, რომ სტუდენტებს მიეცათ შესაძლებლობა დაათვალიერონ ასეთი საინტერესო კოლექცია და ეს საგამოფენო სივრცე გამოიყენონ თავიანთი საინტერესო მიზნებისთვის.“

მხატვარმა გია გუგუშვილმა (უმცროსი) თსუ გალერეას ზეთში შესრულებული ტილო „ქართლი“ აჩუქა.

# ცნობილი ქართველი ტოქსიკოლოგი – თსუ სტუდენტების სამსახურში

საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე სტაჟიანი და ცნობილი ტოქსიკოლოგი და თერაპევტი უკვე წლებია თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტში მოღვაწეობს. პროფესორი გივი კაციტაძე, მანამდე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსიტიტუტსა და თბილისის სამედიცინო აკადემიაში მოღვაწობდა. უნიერისტეტში მაშინ მოვიდა, როცა აქ გადაუდებელი თერპიიისა და ტოქსიკოლოგიის კათედრა იქმნებოდა და ტოქსიკოლგიის სპეციალისტი ძალზე ცოტა იყო.

როგორც თავად ამბობს თსუ-ში მისვლა რამდენიმე მიზეზის გამო გადაწყვიტა. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი ყოველთვის ძალზე პრესტიჟულად და ავტორიტეტულად ითვლებოდა. გარდა ამისა, თსუ-ში მისი ბევრი მეგობარი ჯერ სწავლობდა, შემდეგ კი ასწავლიდა.

“ჯერ კიდევ ბავშვობიდან მახსოვს საპარადო დემონსტრაციებისას ყველა ჯავახიშვილის უნივერსიტეტის კოლონას მივდევდით, მისი სტუდენტები რომ გვენახა. ყველაფერთან ერთად აქ ბევრად უფრო მომგებიანი ასპარეზი იყო როგორც სამკურნალო, ისე სამეცნიერო და პედაგოგიური თვალსაზრისით.” – ამბობს თსუ-ის ერთ-ერთი ყველაზე სტაჟიანი თანამშრომელი გივი კაციტაძე.

დღეს გივი კაციტაძეს თსუ-ში გადაუდებელი და კრიტიკული მედიცინის კათედრაზე კლინიკური ტოქსიკოლოგიის კურსი მიჰყავს, რომელსაც სამედიცინო ფაკულტეტის მეექვსე კურსის ყველა სტუდენტი გადის. შერჩევით საგანის სახით კითხულობს ასევე კურსს გადაუდებლი თერაპიის საკითხებზე. ორივე კურსი საკამოდ საინტერესო და აქტუალურია. ცნობისათვის, გივი კაციტაძის ავტორობით ორივე დარგში გამოსული სახელმძღვანელო, უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლების სტუდენტებისა და ექიმებისათვის, “გადაუდებელი ტოქსიკოლოგია” და “გადაუდებელი თერაპია”, სპეციალისტთა შეფასებით საერთაშორისო სტანდარტებს აკმაყოფილებს.



როგორც ცნობილი ტოქსიკოლოგი ამბობს, დღეს საქართველოში კვლავაც სერთიფიცირებული ტოქსიკოლოგების ნაკლებობაა. ოცდახუთი სპეციალისტისგან აკადემიური ხარისხი მხოლოდ ათს აქვს. უმაღლესი სასწავლებლებიდან კი ტოქსიკოლოგია დღეს თსუ-ის გარდა მხოლოდ თბილისის სამედიცინო აკადემიასა და სამედიცინო უნივერსიტეტში ისწავლება. როგორც სამხედრო ტოქსიკოლოგიის სპეციალისტს ხშირად უწევს მონაწილეობა სხვადასხვა სახის პრესტიჟულ სემინარებსა და კონფერენციებში, რომელთაგან იგი მაინც ნატოს სამ სამიტში მონაწილეობას გამოყოფს, სადაც სიტყვითაც გამოვიდა.

# თსუ მეცნიერთა კვლევა – წარმოებაში გამოყენების პერსპექტივით

*პირველი გვერდიდან*



ფენოლფორმალდეჰიდური ფისი საერთოდ გამოიდევნება როგორც შემკვრელი და იგი შეიცვლება სილიციუმ ორგანული პოლიმერით (კვლევის ყველა კომპონეტი გასაგები მიზეზების გამო ამ ეტაპზე მეცნიერთა საიდუმლოებად რჩება). ეს შემკვრელები მაკრომოლეკულების ქიმიის ლაბორატორებში შეიქმნა. ომარ მუკბანიანის განმარტებით, იგი არა მარტო ჯანმრთელობისთვის არის უვნებელი, არამედ უკეთესი შემკვრელიცაა.

სილიციუმის შემცველი ნაერთი რომ ჯანმრთელობისთვის უსაფრთხოა, ამის დამტკიცებას ომარ მუკბანიანი შემდეგი არგუმენტით ცდილობს: სილიციუმორგანული ნაერთებისგან კეთდება და ადამიანის ორგანიზმში ინერგება ხელოვნური გულის სარქველები, სისხლძარღვოვანი სისტემა.

რაც შეეხება ახალი გამოგონების სხვა უპირატესობებს: „ცდებით უკვე დავამტკიცეთ, რომ ამ ხერხით დამზადებულ ხის ფილას გაეზარდა მექანიკური თვისებები, თერმომდგრადობა. თითქმის სამჯერ შემცირდა წყლის შთანთქმა, დაახლოებით ხუთჯერ შემცირდა ჰიდროფობულობა. დღევანდელ ხის ბურბუშელოვან ფილაზე წყლის შთანთქმა დაახლოებით 20 პროცენტია, ჩვენ კი შეგვიძლია ეს მონაცემი 2 პროცენტამდე დავიყვანოთ.” ამ გზით მიღებული მასალები უკვე შესაძლებელია გამოყენებული იქნას სახლის შიდა სამუშაოებისათვის და მთლიანად შეცვალოს ე.წ. “გიბსოკარდონი”. - განმარტავს მეცნიერი.

სხვათა შორის, დღევანდელი ”დსპ” განმეორებით დამუშავება შეუძლებელია, ქართველი ქიმიკოსების მიერ მიგნებული სილიციუმორგანული პოლიმერი კი განახლებადია. ანუ, სურვილის შემთხვევაში, შესაძლებელია ხის ფილა დაიფქვას და თსუ-ს ლაბორატორიაში მიღებული ნივთიერებით ხელახლა შეწებდეს, რათა უკეთესი ფიზიკურ-მექანიკური მონაცემების მასალა იქნას მიღებული. ამას გარდა, მეცნიერის თქმით, ფენოლორმალდეჰიდურ შემკვრელით დამზადებულ ხის ბურბუშელოვან კომპოზიციურ მასალაში, სჭვალის გატარება მხოლოდ ერთხელაა შესაძლებელი, სილიციუმ ორგანული პოლიმერით დამზადებული ფილა კი სჭვალის რამდენჯერმე გატარებითაც არ ფუჭდება, რაც წარმოებაში მეტად მნიშვნელოვანია.

მასალის მთავარი უპირატესობა არის ისიც, რომ ამ შემკვრელით შეიძლება შეწებდეს გირჩა, თივა, ფოთოლი, წიწვი, ზოგადად, ნებისმიერი მცენარეული ნარჩენი. როგორც ომარ მუკბანიანი ამტკიცებს, ამ მასალებისგან დამზადებული ფილები ისევე შეიძლება წარმატებით გამოიყენონ წარმოებაში, როგორც ხის ბურბუშელოვანი ფილები. სამაგიეროდ, ამ გზით გადარჩება დედამიწის მწვანე სა ფარი.

ეს კვლევა წარდგენილია უკრაინის სამეცნიერო ტექნიკური ცენტრის და რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდის ერთობლივ საერთაშორისო გრანტზე, ომარ მუკბანიანის სურვილია, თსუ-ს ბაზაზე შეიქმნას საწარმო, სადაც სილიციუმორგანული შემკვრელების ბაზაზე მოხდება ფილების წარმოება; ამ წარ მო ებიდან მიღებული შემოსავალი კი უნივერსიტეტის განვითარებას მოხმარდება, როგორც ეს ”ნოკიას” შემთხვევაში მოხდა.

# თსუ – ლიდერი 2012 საკონფერენციო გრანტების კონკურსში გამარჯვებულთა შორის

2012 წელს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ საკონფერენციო საგრანტო კონკურსში უმაღლესი სასწავლებლიდან სულ ათი გამარჯვებულია გამოვლენილი. აქედან ხუთი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელია. საერთაშორისო კონფერენციებისა და სემინარების ორგანიზებისათვის რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსება გამოეყო:

თსუ შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტს, პირველი ნაბეჭდი “ვეფხისტყაოსნის” გამოცემიდან 300 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენციის - “შუა საუკუნეების ლიტერატურული პროცესი. საქართველოს, ევროპა, აზია” ორგანიზებისთვის.

ლექსიკოგრაფიაში ბათუმის მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმის ორგანიზებისთვის, თსუ ლექსიკოგრაფიის ცენტრს.

თსუ სამედიცინო ფაკულტეტს, ინსულტის მსოფლიო ორგანიზაციის V რეგიონული კონფერენციის ორგანიზებისთვის. “თბილისი 2012 – ინსულტის პრევენცია, დიაგნოსტიკა და მკურნალობა”.

თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტმენტს, XVII საერთშორისო კონფერენცია/სემინარის “პირდაპირი და შებრუნებული ამოცანები ელექტრომაგნიტურ და ბგერითი ტალღების თეორიაში” ორგანიზებისთვის.

თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტიანისტიკისა და ნეოგრეცისტიკის განვითარების ფონდს, კონფერენციის: “საბერძნეთი-ევროპული იდენტობა-საქართველო” ორგანიზებისთვის.

# გალაკტიონი – ინგლისურ ენაზე

## თსუ პროფესორის უნიკალური თარგმანი



„გალაკტიონის სახით ვიპოვე უმაღლესი ხარისხის პოეზია, რომელიც არის სულის ნამდვილი არისტოკრატი და სიტყვიერი სასწაულების შემქმნელი. მის გარეშე მსოფლიო პოეზია ბევრ აღმოჩენას აუვლიდა გვერდს”. – ასეთი შეფასება ლორდმა მერევორსმა, ცნობილმა პოეტმა და მისი საგვარეულოს რიგით მეხუთე ბარონმა ბრიტანეთში გალაკტიონის ინგლისურენოვანი კრებულის პრეზენტაციაზე გააკეთა. გალაკტიონის 50 ლექსის უნიკალური თარგმანი თსუ თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების ინსტიტუტის დირექტორს, სრულ პროფესორს ინესა მერაბიშვილს ეკუთვნის.

გალაკტიონის თარგმნისა და ინგლისურად გამოცემის იდეა ქალბატონ ინესას მაშინ გაუჩნდა, როდესაც დაასრულა მონოგრაფია „გალაკტიონის ენიგმები“ (თბილისი, 2003). ქართული ლექსის ინგლისურად თარგმნაში მას დიდად შეუწყო ხელი ინგლისურ პოეზიაზე, საკუთრივ ბაირონის შემოქმედებასა და მის ქართულ თარგმანზე მუშაობამ. (ცნობისთვის, ქალბატონი ინესა საქართველოში ბაირონის საზოგადოებისა და ბაირონის სკოლის დამაარსებელია. მან ბაირონის არაერთი ლექსი თარგმნა ქართულად და გააცნო ქართველ მკითხველს). ინესა მერაბიშვილის თარგმანში გალაკტიონის 25 ლექსისაგან შემდგარი ორენოვანი კრებული პირველად 2005 წელს დაბეჭდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ. კიდევ უფრო მოცულობითი და მნიშვნელოვანი სამუშაო 2011 წელს გალაკტიონის ახალი ინგლისურენოვანი კრებულის (50 ლექსი) გამოშვებით დასრულდა – გალაკტიონის 120 წლის იუბილე ამ გამოცემით აღინიშნა ლონდონში.

ფაქტს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ისიც ანიჭებს, რომ წიგნი ამჯერად ნოტინგების ცნობილმა გამომცემლობამ Critical, Cultural and Communications Press-მა დაბეჭდა. მისი პრეზენტაცია კი ლონდონში, ბელგრეივ სქვეარზე მდებარე სასახლეში – კენინგ ჰაუზში გაიმართა. შეხვედრას ესწრებოდნენ დიპლომატები, პოეზიის ბრიტანელი თაყვანისმცემლები და თავად ლორდ ბაირონის შთამომავლები, რომლებმაც მთარგმნელს განსაკუთრებული მადლობა გადაუხადეს. გამომცემლობის დირექტორმა, პროფესორმა ბერნარდ მაკგარგმა პრეზენტაციაზე განაცხადა: „ვიმედოვნებთ, რომ ინესა მერაბიშვილის თარგმანი უამრავ მკითხველს დააინტერესებს ამ სრულიად განსაცვიფრებელი პოეტით, რომელიც საუკუნის დაგვიანებით მოვიდა ჩვენამდე და მხოლოდ ახლა ხდება მსოფლიოსთვის ხელმისაწვდომი“.

ამ ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაში თსუ პროფესორს ინესა მერაბიშვილს მართლაც განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის. თარგმანთან დაკავშირებით ძალიან საინტერესოა ამერიკელი დიპლომატის, პოეზიის დიდი მოყვარულის, რობერტ ჯ. გიბსონის კომენტარი: „რომ არ მცოდნოდა, ჩემს წინაშე თარგმანია, ჩავთვლიდი, რომ ეს ინგლისურ ენაზე შექმნილი დედანია, თუმც აქ საქართველოზეა საუბარი. ეს ხომ ძალიან იშვიათი შემთხვევაა ნებისმიერ თარგმანში და – განსაკუთრებით პოეზიაში“.

და ბოლოს – ამ დღეებში გამოიცემა ინესა მერაბიშვილის ახალი მონოგრაფია სახელწოდებით – „გალაკტიონის მერი“.

# შეამოწმე შენი ცოდნა!

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფასო საზაფხულო სკოლა მე-11 კლასის მოსწავლეებს სთავაზობს ცოდნის შემოწმებას ტესტირების საფუძველზე.

25 ივნისიდან 3 ივლისის ჩათვლით ტესტირება ჩატარდება შემდეგ საგნებში:

1. ქართული ენა და ლიტერატურა – 25 ივნისი.
2. უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) – 26 ივნისი.
3. ისტორია – 27 ივნისი.
4. მათემატიკა – 28 ივნისი.
5. გეოგრაფია – 29 ივნისი.
6. ზოგადი უნარები – 30 ივნისი.
7. ქიმია – 1 ივლისი.
8. ფიზიკა – 2 ივლისი.
9. ბიოლოგია – 3 ივლისი.

თსუ-ს ლექტორები ტესტირების შედეგებს მოსწავლეებთან ერთად განიხილავენ. შედგება დისკუსია მოსწავლეებსა და თსუ-ს ლექტორებს შორის, რაც თავისთავად ცოდნის შემოწმების საუკეთესო საშუალებაა.

ტესტირება ჩატარდება თსუ მე-II კორპუსში, ფიზიკის დიდ აუდიტორიაში (№212).

ტესტირების დაწყების დრო: 10 საათი.

საკონტაქტო ინფორმაცია:
ტელ.: 225 04 84; 225 11 17; 225 39 71.
ელ. ფოსტა: academicaffairs@tsu.ge

მონაწილეობის მიღების შემთხვევაში დარეგისტრირდით: www.tsu.edu.ge

# სიახლეები

18 მაისს თსუ-ში თვითმმართველობის არჩევნები გაიმართა. აქტიურობა დიდი იყო, დაახლოებით 7 000 სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა, რაც აქტიური რეგისტრირებული სტუდენტების 40 % შეადგენს.

საარჩევნო კომისიის მოწვევით არჩევნებს 3 საერთაშორისო ორგანიზაცია – „IFES”, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და “საარჩევნო გარემოს განვითარების ცენტრი“ აკვირდებოდა. სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები 2 წელიწადში ერთხელ ტარდება. ცესკოს შემაჯამებელი ოქმის მონაცემებით 120 დელეგატიდან 116 „ერთიანი სტუდენტური მოძრაობის“ წარმომადგენელია, ხოლო დარჩენილი ოთხი ადგილი სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტების დამოუკიდებელ კანდიდატებზე გადანაწილდა. გაიმართა დელეგატების პირველი შეკრება, სადაც თვითმმართველობის პრეზიდენტად დაჩი გუბაძე დასახელდა მეორე ვადით.

* * *

1 მაისს, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორის ნიკ მაკფარლეინის საჯარო ლექცია თემაზე: “სამხედრო ტექნოლოგია, ომი და საერთაშორისო პოლიტიკა.” ლექციის დასასრულს გაიმართა დისკუსია.

* * *

3 მაისს, ივ ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკის შესწავლის ინსტიტუტისა და ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაციის ორგანიზებით გაიმართა პრეზენტაცია: „ამერიკული მუსიკა ეკრანზე – სპირიჩუელსი.“ აგრეთვე, ფილმის “The Afro-American Gospel Choir” ჩვენება და დისკუსია.

* * *

4-5 მაისს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტმა სამეცნიერო კონფერენცია გამართა. კონფერენციის ფარგლებში საქართველოს მედიცინის სფეროში მოღვაწე მედიკოსებმა წაიკითხეს საჯარო ლექციები სამედიცინო საიხლეებსა და პრობლემურ საკითხებზე. ამავე დროს, თსუ მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებმა წაიკითხეს მოხსენებები, რომელიც საპატიო წევრებისაგან დაკომპლექტებულმა ჟიურიმ შეაფასა.

# სიახლეები

7 მაისს, „ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია საქართველოს“ (ელსას) კვირეულის ფარგლებში გაიმართა პროექტის „ნაფიცი მსაჯული 4“ პრეზენტაცია. პროექტის პარტნიორები არიან საქართველოს უზენაესი სასამართლო, ქალაქ თბილისის მერია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და თსუ სტუდენტური თვითმმართველობა.

* * *

14 მაისს, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა გამოფენა „საქართველოსა და გერმანიის უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობა“. გერმანიის უნივერსიტეტებთან თანამშრომლობისა და ერთობლივი პროგრამების წარდგენის მიზნით გამოფენაზე მოწვეული იყვნენ საქართველოს უნივერსიტეტები.

* * *

14 მაისს, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში „დოიჩე ველეს“ აკადემიის სამხრეთ კავკასიაში არსებობის 10 წლის იუბილესთან დაკავშირებით ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს „დოიჩე ველეს“ აკადემიასა და თსუ შორის.

* * *

16 მაისს, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის მიხაკო წერეთლის თარგმანის „გილგამეშიანი“ პრეზენტაცია. მიხაკო წერეთლის „გილგამეშიანი“ თსუ გამომცემლობამ გამოსცა.

მიხაკო წერეთლის ”გილგამეშიანი” წარმოადგენს ”გილგამეშის ეპოსის” ერთ-ერთ უპირველეს თარგმანს მსოფლიოში. ქართველი მკითხველი მიხაკო წერეთლის ამ უნიკალურ თარგმანს პირველად გაეცნო.

* * *

16 მაისს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარულ საკითხთა გენერალური კომიტეტის თავჯდომარე, იტალიის პარლამენტის წარმომადგენელთა პალატის წევრი მატეო მიკაჩი ეწვია. მატეო მიკაჩიმ თსუ სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისთვის წაიკითხა საჯარო ლექციას თემაზე: „ეუთოს როლი დემოკრატიის ხელშეწყობასა და ადამიანური უფლებების დაცვაში.“

* * *

ევროპის დღეებისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტმა და თსუ საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტმა უმასპინძლა საჯარო პანელს თემაზე: ურთიერთობები ევროკავშირსა და საქართველოს შორის, სადაც მოწვეულები იყვნენ ევროკავშირის დელეგაციის ხელმძღვანელი საქართველოში ფილიპ დიმიტროვი და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თორნიკე გორდაძე.

* * *

17 მაისს, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტის კრიმინალისტიკისა და კრიმინოლოგიის სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტის ორგანიზებით გაიმართა კონფერენცია: „პოლიციის როლი დანაშაულის პრევენციაში“, რომლის ფარგლებშიც შედგა შეხვედრები პოლიციის, პროკურატურის, სასამართლოს და სასჯელაღსრულების სისტემის წარმომადგენლებთან.

* * *

17 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკის შესწავლის ინსტიტუტის ორგანიზებით გაიმართა ამერიკისმცოდნეობის მეცამეტე ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია „შეერთებული შტატები და საქართველო: გუშინ, დღეს, ხვალ”. კონფერენცია საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების 20 წლისთავს მიეძღვნა.

* * *

18 მაისს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა ბათუმის მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმი ლექსიკოგრაფიაში. სიმპოზიუმზე საჯარო ლექციები წაიკითხეს ცნობილმა ქართველმა და უცხოელმა ლექსიკოგრაფებმა. გაიმართა დისკუსია მრგვალ მაგიდასთან თემაზე: ელექტრონული კორპუსები და მათი გამოყენების პერსპექტივები ქართულ ლექსიკოგრაფიაში.

# სტუდენტური დღეები



2012 წლის 9-11 მაისს თსუ-ში უნივერსიტეტის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტისა და სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით გაიმართა უკვე ტრადიციად ქცეული პროექტი“ „თსუ სტუდენტური დღეები”. “სტუდენტური დღეები 2012”-ში მონაწილეობის შესაძლებლობა ჰქონდა თსუ-ს ყველა სტუდენტს, რომელსაც გააჩნია ნებისმიერი სახის შემოქმედებითი ნიჭი. პროგრამის დაწყებამდე 5-7 მაისს უნივერსიტეტში ჩატარდა შესარჩევი ტური, სადაც უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტმა წარმოადგინა საკუთარი ნომერი, ქასთინგის შემდეგ კი, მათგან საუკეთესო კონცერტისთვის შეირჩა. კონკურსში მონაწილეობა სტუდენტებს შეეძლოთ როგორც ინდივიდუალური ნომრებით, ასევე ჯგუფური პროგრამებით. მონაწილეებს კომპეტენტური ჟიური აფასებდა შემდეგ ნომინაციებში: 1. თანამედროვე სიმღერა – სოლო შესრულება; 2. თანამედროვე სიმღერა – დუეტი; 3. თანამედროვე სიმღერა – გუნდი (ბენდი); 4. თანამედროვე ცეკვა; 5. სამხატვრო და ფოტო გამოფენა; 6.ორიგინალური ნომერი; 7. მხატვრული კითხვა. საკონკურსო ტურები თსუ-ს I კორპუსის სააქტო დარბაზში მიმდინარეობდა. 11 მაისს გაიმართა თსუ სტუდენტური დღეების დასკვნითი კონცერტი, სადაც მონაწილეობას იღებდნენ 2 საკონკურსო დღის განმავლობაში შერჩეული კონკურსანტები. ჟიურიმ გამოავლინა გამარჯვებულები შემდეგ ნომინაციებში: 1. ჟიურის სიმპათია – ანა კანდელაკი; 2. დარბაზის სიმპათია – ბენდი Strolling Tones; 3. ორიგინალური მონაწილე – უსახელო პოეტები; 4. თანამედროვე სიმღერა (სოლო შესრულება) – სოფო ქუბრიაშვილი; 5. თანამედროვე სიმღერა (გუნდი, ბენდი) – ბენდი “მეოცნებე”; 6. თანამედროვე ცეკვა – ჯგუფი Funky Girls; 7. მხატვრული კითხვა – ლაშა – გიორგი ადვაძე; 8. საუკეთესო ფაკულტეტი – იურიდიული ფაკულტეტი. გრან-პრის მფლობელი გახდა ბენდი Evergreen, რომელსაც გადაეცა ფულადი ჯილდო 500 ლარის ოდენობით.

თსუ-ის სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ ორგანიზებულ პროგრამაშიც – „სტუდენტური დღეები 2012“, რომელიც 17 მაისს დაიწყო და 25 მაისს დასრულდება. ფესტივალში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოში არსებულ ყველა სახელმწიფო და კერძო უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტს. “სტუდენტური დღეები 2012” თბილისში, კუს ტბაზე გრანდიოზული კონცერტით გაიხსნა. საკონკურსო დღეები სიღნაღში, ქუთაისსა და ბათუმში ერთი კვირის განმავლობაში გაგრძელდება. 19 მაისს სიღნაღში გაიმართა პირველი საკონკურსო დღე, სადაც მონაწილეებმა საცეკვაო ნომრები წარმოადგინეს. თსუ-დან ამ კონკურსში მონაწილეობა მიიღო ანსამბლმა „უნივერსიტეტი“ და თანამედროვე ცეკვის ჯგუფმა „funky girls“. 21 მაისს, ქუთაისში გაიმართა სიმღერის კონკურსი. ამ კონკურსში თსუ-დან წარდგნენ გოგონათა ტრადიციული მუსიკის ანსამბლი “თსუ-გორდელა” და ბენდი Evergreen, ხოლო 23 მაისს ბათუმში იუმორისტულ თეატრალურ და ორიგინალურ ნომრებს თსუ-დან წარადგენენ სტუდენტური თეატრი “სხვენი” და თსუ არტი. 25 მაისს, კუს ტბაზე ფესტივალის დახურვის ცერემონიალი გაიმართა. გამოვლინდა და დაჯილდოვდა უმაღლესი სასწავლებლები სხვადასხვა ნომინაციის მიხედვით: ყველაზე მეტ ნომინაციაში გამარჯვებული უნივერსიტეტი; ყველაზე მეტჯერ ნომინირებული უმაღლესი სასწავლებელი; ყველაზე აქტიური უმაღლესი სასწავლებელი; ყველაზე ორგანიზებული უმაღლესი სასწავლებელი.

პროგრამის მიზანს წარმოადგენდა სტუდენტებში შემოქმედებითი უნარების განვითარების ხელშეწყობა და წახალისება, სტუდენტური ცხოვრების მრავალფეროვნების უზრუნველყოფა და სტუდენტების თავისუფალი დროის შინაარსიანად დაგეგმვის ხელშეწყობა;

# სტუდენტური კონკურსი – მისია 2012

***სტუდენტური კონკურსი „მისია 2012“ გადამწყვეტ ფაზაში შედის. 6 ფინალისტი გუნდი ერთი თვის განმავლობაში კომპანია „გეოპლანტის“ ვირტუალური მარკეტინგისა და პიარის მენეჯერი გახდება და შეეცდება საუკეთესო საკომუნიკაციო სტრატეგია შექმნას. გამარჯვებული გუნდი კონკურსის მთავარ პრიზს – 2500 ლარს მოიპოვებს.***

თსუ-ს სტუდენტური კონკურსი მარკეტინგსა და პიარში უნივერსიტეტის ყოველწლიური პროექტია, რომელსაც უნივერსიტეტი და წარმატებული ქართული ბრენდი ერთობლივად ახორციელებენ. ყოველწლიურად კონკურსის მონაწილე ბრენდი იცვლება და კონკურსანტები ახალ იდეებს ახალი პარტნიორისთვის ქმნიან. 2012 წელს კონკურსის თანაორგანიზატორი კომპანია „გეოპლანტი“ – ჩაის ქართული ბრენდი „გურიელი“ იქნება.

ფინალური დავალების შესრულებამდე გუნდების წარმომადგენლები კომპანია „გეოპლანტის“ რაჭაში მდებარე ხილის ჩაის მწარმოებელ საწარმოს მოინახულებენ და წარმოების პროცესს გაეცნობიან.

ივნისის შუა რიცხვებში ფინალისტი გუნდები სპეციალური ჟიურის წინაშე პრეზენტაციებით წარდგებიან. კონკურსისი საპრიზო ფონდი – 5000 ლარი სამ საუკეთესო გუნდზე გადანაწილდება.

კონკურსის მიზანია სტუდენტების ახალი იდეების განხორციელებისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, კონკურსის გამარჯვებული სტუდენტების პარტნიორ კომპანიასთან თანამშრომლობის უზრუნველყოფა და სამომავლო დასაქმების პერსპექტივის ზრდა.

კონკურსი ორ ეტაპს მოიცავს. პირველ ტურში მონაწილეობის მიღება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნებისმიერ სტუდენტს შეეძლო. მონაწილეებს 2013 წლის 8 თებერვალს დაგეგმილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 95 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება უნდა დაეგეგმათ. 18 მონაწილე გუნდიდან ჟიურის გადაწყვეტილებით ფინალში 6 საუკეთესო გავიდა. ფინალისტები სამი ფაკულტეტის – სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, ეკონომიკისა და ბიზნესის და იურიდიული ფაკულტეტის წარმომადგენელები არიან.

# თსუ სტუდენტთა წარმატება „დიპლომატიურ თამაშებში“




საქართველოს გაეროს ასოციაციის ეგიდით წელს, 18–19 მაისს სასტუმრო „რედისონში“ გაიმართა გაეროს მე–100 საიუბილეო მოდელირება, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს 10 უნივერსიტეტიდან, შიდამოდელირებებში გამარჯვებული საუკეთესო სტუდენტები. თსუ აქ უძლიერესი გუნდით წარსდგა და წარმატებაც მოიპოვა.

შიდამოდელირებისთვის თსუ–ში შეირჩა 30 სტუდენტი, რომელთაც ტრეინინგები ჩაუტარდათ და შიდამოდელირების შემდგომ, შეირჩა 10 საუკეთესო მონაწილე: ნინო კვეტენაძე, შალვა საბაური, ქანა სირბილაძე, სოფო დეკანოზიშვილი, მარიამ თითბერიძე, ყარამან–გიორგი ბერიძე, გიორგი გიგიტაშვილი, რატი ბახტაძე, ნინო მჭედლიშვილი და ნათია გურული. მათი ტრენერი სტუდენტებიდანვე შეირჩა – თსუ იურიდიული ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი ვეკო დოდაშვილი.

რაც შეეხება უშუალოდ ეროვნულ მოდელირებას, მასში მონაწილეობა მიიღო 10 უნივერსიტეტიდან წარმოდგენილმა 80–მა საუკეთესო სტუდენტმა და მათგან ჟიურიმ 4 ნომინაციაში გამარჯვებულები გამოაცხადა. ოთხივე ნომინაციაში თსუ-ს სტუდენტებმა გაიმარჯვეს. საუკეთესო დელეგაციის ნომინაციაში გაიმარჯვა მარიამ თითბერიძემ, საუკეთესო მოდებატე – სოფო დეკანოზიშვილი, საუკეთესო დიპლომატი – რატი ბახტაძე, საუკეთესო მომხსენებელი – ყარამან–გიორგი ბერიძე. კონფერენცია წარმოადგენდა ახალგაზრდული პროექტის – “საქართველოს გაეროს მოდელირების 2012 წლის საგაზაფხულო ციკლის” კულმინაციას. ღონისძიების ორგანიზატორები არიან საქართველოს გაეროს ასოციაცია (UNAG) და საერთაშორისო კვლევებისა და გაცვლების საბჭოს (IREX) გლობალური საბაკალავრო გაცვლითი პროგრამის (UGRAD) კურსდამთავრებულთა ჯგუფი. პროექტი ფინანსდება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის განათლებისა და კულტურის ბიუროს მცირე საგრანტო პროგრამისა და საქართველოში გაეროს ოფიციალური წარმომადგენლობის მიერ.

გაეროს მოდელირება აკადემიური ე.წ. „როლური“ კონფერენციაა, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვადასხვა ორგანოს სიმულირებას წარმოადგენს. მოდელირების პროცესში მონაწილეები ხდებიან დიპლომატები, წარადგენენ და იცავენ საკუთარი ქვეყნების პოზიციებს, მართავენ დებატებსა და მოლაპარაკებებს, და მოკავშირეებთან ერთად წარადგენენ რეზოლუციას, როგორც მთელი კონფერენციის საბოლოო შედეგს. ამ დიპლომატიური თამაშის უმთავრესი მიზანია დემოკრატიული ღირებულებების დანერგვა და გავრცელება, კომუნიკაციური და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება, საზღვარგარეთის ქვეყნებისა და მსოფლიო მნიშვნელობის პოლიტიკური საკითხების გაცნობა. საქართველოს გაეროს ასოციაცია გაეროს მოდელირებას ყოველწლიურად 1996 წლიდან ახორციელებს. მასში მონაწილეობა მიღებული აქვს ასობით ახალგაზრდას, რომელთა უმრავლესობა დღეს მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის პოლიტიკურ და სამოქალაქო ცხოვრებაში.

პროექტის ფარგლებში, მონაწილე უნივერსიტეტებში იხსნება გაეროს მოდელირების კუთხეები, რაც სტუდენტებს გაეროს თემატიკასთან დაკავშირებული სხვადასხვა საინფორმაციო რესურსით ამარაგებს.

გაზეთი მომზადდა თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ. საკონტაქტო ინფორმაცია – ტელ: 2 22 23 91; ელ.ფოსტა: tsupr@tsu.ge; ვებ-გვერდი: www.tsu.edu.ge